საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მისიმიელები

მისიმიელები, ერთ-ერთი ქართული (სვანური) ტომი. სახელწოდება „მისიმიელები“ სვანთა ადგილ. სახელის „მუშვანის“ სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს (სხვა მოსაზრებით მ. ერთ-ერთი აფხაზური ტომია). იხსენიებენ ბიზანტ. ავტორები. მ. ცხოვრობდნენ თანამედროვე აფხ. ტერიტ-ზე. მათი ადგილსამყოფელი აფსილების მიწა-წყალს თანამედროვე წებელდასთან ესაზღვრებოდა. აგათია სქოლასტიკოსის (VI ს.) ცნობით, მ., ისევე როგორც აფსილები, კოლხეთის (ე. ი. ლაზთა) მეფის ქვეშევრდომები იყვნენ, მაგრამ მათგან განსხვავებით სხვა ენა და ზნე-ჩვეულებები ჰქონდათ. მ-მა აქტიური მონაწილეობა მიიღეს VI ს. შუა წლებში ბიზანტია-ირანის ომში, რ-იც დას. საქართვ. ტერიტ-ზე მიმდინარეობდა (იხ. მისიმიელთა აჯანყება 555).

წყარო: აგათია სქოლასტიკოსი, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1936.

ლიტ.: ბ ე რ ა ძ ე თ., ს ა ნ ა ძ ე მ., საქართველოს ისტორია, წგ. 1. ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები, თბ., 2003; გ ა ს ვ ი ა ნ ი გ., ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991; ლ ო მ ო უ რ ი ნ., ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1963, ნაკვ. 35; მ ი ბ ჩ უ ა ნ ი თ., დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ტ., 2, თბ., 1973; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., მისიმიანთა ტომი, «თსუ შრომები», 1936, ტ. 1; А н ч а б а д з е З. В., Очерк этнической истории абхазского народа, Сух., 1976.

გ. მელიქიშვილი